

კატასტროფული მოვლენები მდინარე რიონის აუზში და მისი შედეგების ანალიზი

## გელა ფერაძე

ელ-ფოსტა: [peradzegela2@gmail.com](mailto:peradzegela2@gmail.com)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ი. ჭავჭავაძის გამზირი #3, 0179, თბილისი

საქართველოსთვის მეწილად დამახასიათებელია წყალდიდობები და წყალმოვარდნები. წყალდიდობები გამოწვეულია ხანგრძლივი წვიმებით ან თოვლის სწრაფი დნობით და პროცესს ახასიათებს განვითარების შედარებით ნელი ტემპი. ამ ტიპის წყალდიდობა ხდება მაშინ, როდესაც მდინარის კალაპოტის გამტარუნარიანობა ნაკლებია წყლის მასაზე. წყალმოვარდნა საქართველოში ინტენსიური წვიმებით წარმოქმნილი ერთიანი ჩამონადენის უეცარი ზრდის შედეგია, რაც შეიძლება წარმოიქმნას აგრეთვე კაშხლის გარღვევით, მეწყრული სხეულით ხეობის ჩაკეტვის შედეგად და სხვ.

აუზის პარამეტრების და ისტორიული მონაცემების გაანალიზება საშუალებას გვაძლევს მომავალში შესაძლო კატასტროფული მოვლენებისთვის მზადყოფნას. ნაშრომში განხილულია მდინარე რიონის აუზი, (ღები-ონის მონაკვეთი) სადაც ნათელი მაგალითებია იმის თუ პრევენციის მიზნისთვის რამდენად მნიშვნელოვანია მონაცემების ანალიზი. გამოიყოფა მოწყვლადი ზონები ჰიდროლოგიური მოდელის დახმარებით. მონაცემთა ანალიზისთვის და შემდეგ ჰიდროლოგიური მოდელის შექმნისთვის გამოყენებულია თანამედროვე გეო საინფორმაციო სისტემები: როგორებიცაა GIS, QGIS, HEC-HMS, HEC-RAS და სხვა.